

გვაძლი, განრევნა და შებიღწა ის წმიდა წიგნები, ოთმელნიც თარგმნილ იქმნენ წას სააკის, მოსე ხორენელის და სსკათა მამათაგან, შესცევალა და დააჭირა ძველ-თა წმიდათა მამათა მიერ დაწესებული საღვთას-მსახურებზო წესები, უკანასკნელ მა-ნისკერტის მწვალებელთა გრებამ სარელაციდ გადააჭირა ძველი სჯული სომესთა ერისა და შემოიღო ახალი სარწმუნოება და წესები.

საყურადღებოა, რომ ასევნა არას ამბობს 596 წლის დვინის კუპაზე, ოთ-მელზედაც რამდენთამე სომესთის ეპისკოპოსთა დაადგინეს: უოკელი კაშირი მოის-თოს ქართველებთანათ, გარდა აღებ-მიცემობის კავშირისათ. რის მომსწავებელია ეს, თუ არ იმისა, რომ ამ კრების დადგენილობას დიდი უფრადღებას არ აქცივდენ. არც სომების და არცა ქართველი, რადგან იგი იყო შედეგი თითქმის შოღლოდ პიროვ-ნელის უსიამოვნებისა და ანგარიშებისა სომესთ კათალიკოზის აბრამისა და ქარ-თველთ კათალიკოზის სკიმეონის შორის შესახებ ცურტავის ეპარქიასა, რომელიც ექვემდებარებოდა ქართლის სწორთალიკოზოს, მაგრამ მოსე და აბრამ სომესთ კათა-ლიკოზთა უგანონოდ მისტატაცეს იგი ქართლსა. დააღ ეს ანგარიშები იყო უმთავრე-სი მიზეზი ამ უსიამოენთ განხეთვილებისა, სოლო ქალგილონის კრება და დეონ დადის წერილი მხოლოდ საბაბად გამოიყენეს.

**თბილი წმიდისა მამისა ჩუმისა არსენისაჲ, მცხეთის კათალიკოზისა,**  
**რომელი იშო სანახებთაგან საეპისითა საფარით, ზანოზისათვეს**  
**ჩართლისა და სოჭხითისა.**

კაცნო ღუთის მოყუარენო, რომელი შვებით<sup>1)</sup> ემბაზისაგან ცხოველისა შვილიად წმიდისა და დიდებულისა კათოლიკე ეკლესიისა სარწმუნოებასა ზე-და წმიდისა სამებისასა, რომელი დაღვეს წმიდათა მოციქულთა შეურყეველიად და ძირ უბნე<sup>2)</sup> დათესულისა მათსა ყოვლად ქებულთა წმიდათა მღდელთ-მო-ძლუართა კეშმარიტითა და მართლითა სარწმუნოებითა და წამეს ვითარცა ერ-თითა პირითა ექუსთა მათ შინა კრებათა<sup>3)</sup>, რომელთა მიერ პირველ ზრახვიდა თვით თავადი ღმერთი და განაწესეს ესრეთ და გუასწავეს ჩუნ:

მამად ყოვლისა მცყრობელი, დამბადებელი ყოველთა არსთა, ხილულთა და უხილოავთა; ძე მხოლოდ მამისაგან შობილი და არა ქმილი, სწორი მამისა და თანამოქმედად მამისა ყოველსავე, რომელმან აღსასრულისა უამთასა შეიმოსა სიმღაბლით უძლოური კაცებად ჩუცნი საშოსა შინა წმიდისა ქალწულისასა, ჯუარს ეცუა და მოკუდა ქეშმარიტად და არა საოცრად<sup>4)</sup> ბუნებითა კორცთათა

<sup>1)</sup> „შვება“ ალნიშნავს გარდამატებულს სიხარულს. ძველს დედანში იქნებოდა: „რო-მელი იშვებით“...<sup>2)</sup>უნდა: „ძირ უბნეს“.

<sup>3)</sup> ღირს-შესანიშნავია, რომ ძველ ხელ-ნაწერებში მეშვიდე კრებას არ იხსენიებენ (ამა-ზე იხ. ჩემი აღწ. ეკ. მუხ. № 86 ხელ-ნაწერისა). —<sup>4)</sup> „საოცრად“, ე. ი. მოჩვენებით. მო-

და ლუთაებისა ძალითა აღდგა და თანა აღადგინა დაცემა ჩუქნი პირველი, ამაღლდა მუნვე მამისა და მოვიდეს განსჯად ცხოველთა და მკუდართა დიდებითა, კარტითა მით, რომელი ჩუქნგან მიიხუნა.—და სული წმიდა უფალი, ცხოველს მყოფელი, მამისაგან გამომავალი და ძისა თანა თაყუანისცემული, თანასწორი მამისა და ძისად თანამოქმედად საუკუნეთა, რომელი იტყოდა პირითა წინასწარმეტყოფლთადთა ყოველსაცე მომავალსა.

და ერთი წმიდად და ღიღებული კათოლიკე ეკლესიად, რომლისაგან განიღევნეს ყოველნი მწვალებელნი სიბრძითა უკეთურებისათა, რომელსა შინაიდიდების წმიდა სამება მართლითა აღსაჩენითა<sup>5</sup>).

ხოლო ვითარ განდეგს-სომეხნი მართლისა სარწმუნოებისაგან ეს არ მიზეზი. ვითარ ყოველთა კრებათა იპოვის ვინმე თითოო წინააღმდეგომი საქმითა საუშმაკოეთა და აზრის ახალ-სახეობითა ღუარძლი წვალებისა, ეგრეთვე წმიდასა კრებასა ქალკიდონისსა გამოაჩნდეს ორნი მგელნი მძვნვარენი, განჩემებულნი ეშმაკინი—ევტეჭი და დიოსკირის, ვითარ არიოზ, მაკედონიოს და ნისტორიოს სამთა მათგან კრებათა დაწყევნებს შეჩერებულნი და წარწყმდეს, ეგრეთვე ეს თანი საწყალობელნი :ქლ:—თა<sup>6</sup>) წინააღმდეგს<sup>7</sup>) საღმრთოეთა შურითა აღზებულთა, რომელთა შორის მკვდრ იყო ქრისტე და მათ მიერ შეჩერებულნი წარწყმდეს და მიზეზ ბოროტისა ექმნებს ურიცხუთა სულთა უბრალოთა.—ხოლო ვითარ ზედა მიიწივენით, გულისემა ყავთ, განყოფად სომეხთა ქართლისაგან უცუკულად აღვწერე<sup>8</sup>) წიგნსა ამას შინა.

უმთა არკადი მეფისათა ბერძნენთა ზედა<sup>9</sup>) და სომხითს მეფობასა არშა-  
კისსა<sup>10</sup>) იყვნეს სომები ნაწილად ბერძნენთა სჯულსა ზედა მათსა მტკიცედ,  
ვითარება ასწავა მათ შმიდამან გრიგოლი პართელმან<sup>11</sup>), და სიმენით ეპყრა  
ქუეყანაც მათთვის ფრიგადითა ღუაშლითა მოახლეობისაგან სპარსთასა და მეფენი-  
ცა ბერძნენი შეეწეოდეს ლაშქრითა და ოდესავე მცველად უდგიან ძალითა დი-  
დითა მახლობელად და ესრეთ იყო საქმე მათი<sup>12</sup>). ხოლო მეფემან არკადი<sup>13</sup>),  
ძემან თეოდოსისმან დაცონა<sup>14</sup>) საქმე მათი და მოერინეს სპარსი სომეთხთა  
და ოოტნეს ქუეყანით მათით და ლტოლვილნი მრავალ-უამ მწირობდეს ელევა-  
კით<sup>15</sup>) კერძოთა ქუეყანათა და ევედრებოდეს არკადის, რათამცა მოუყვანინა

ლანდფიტ (призрачно), როგორც ერთ-ბუნებიანი» (МОНОФИЗИТЫ) ჰიფიქრობენ. —<sup>5</sup>) ეს წინასიტყვაობაა, ანუ შესვალი, რომელშიაც არსები მოკლედ და სიმართლით აღწერს მართლმადიდებელ სარწმუნოების აღსარებასა და შეძლევ გვიჩვენებს, თუ რომელ მიზეზით განდგენ სომებინ ამ აღსარებისაგან. —<sup>6</sup>) ე. ი. ექვსას ოც-და-ათთა ქალკიდონის კუთხის მამათა. —<sup>7</sup>) ე. ი. 630 მამათა წინააღმდეგნო ევტეკი და დიოსკორიოს. Kiracos de Gantzac, p. 17, n. 10. ასაკვირველია, ქალკიდონის კუთხის მოწინააღმდეგნო მოეფინებოდნ საქართველოსაც, როგორც მოეფინენ მთელს აღმოსავლეთს და სომხითს (Oukht. 277). —<sup>8</sup>) ე. ი. უკველ საისტორიო წყაროებიდამ და სიმართლით. —<sup>9</sup>) 395—408 წ. —<sup>10)</sup> 392—396 წ. —<sup>11)</sup> რომელმან მოაქცია სომხითი. მოქცევა სომხთა ანუ ცხოვრება წარ გრიგორ პატრიკი მე-XI საუკუნეს. ხელ-ნაწერში ქართულად და ნაწევრი იმისგან ზემო ჩავურთეთ (იხ. გვ. 19—27). —<sup>12)</sup> იხ. კრულად მიქელ ხორენსკი იმანა კ. V, გლ. 4—XLI. Асогикъ; стр. 12—50; — Варданъ; стр. 69 და შედ. Ciracos; p. 16—18. —<sup>13)</sup> 395—408 წ. —<sup>14)</sup> მკანარება = ხარმაკია; „დაცონა“ = უყრი არ უგდო. —<sup>15)</sup> კვლეული ზემო სომ-

ძალი, რომლითა შეუძლონ დაპყრობა ქვეყანას თვისი და არა ისმინა უფალმან ვე-  
დრებაც მათი. — მაშინ იძიეს ღონე სომეხთა და მოხარუკე ექმნებს სპარსთა და არ-  
წმუნებს შეფეხსა სპარსთასა ფიცისა მიერ და თავსდებითა მოწყუბდა ბერძნთა-  
გან და შეერთებად მათდა, და განიხარა მეფემან ფრიად ესე და მრავლითა სი-  
ხარულითა და ბოძითა უკუნტა ქუეყანას მათი<sup>16</sup>). დაყვეს სომეხთა რაოდენიმე  
უამი მშვიდობით მართლითა სარწმუნოებითა.

ხოლო ეშმაკი, რომელი მარადის ჰპრაძეს სიკულილად კაცთა ნათესავსა, აღძრა ნათესავი უღმთოდ ნისტორის წვალებისა და დიდალითა ქრთამითა ოქ-როვსათა ითხოვს მეფისაგან კეთილად მიქცევად<sup>17)</sup> (სომხითი) სჯულსა მათსა და განდრიკეს გული მეფისა და არწმუნეს ესრეთ, ვითარმედ რაჟამს პოონ ეამი სომხთა მიქცევად კუალად ბრძენთავე, არა ერიდნენ ყოვლადვე ფიცა-არცა თავსდებთა სიყვარულისათვს და სიმტკიცისა სჯულისა და მოიკიცხოს საქმე შენი მათ მიერ, არამედ უკვალე სჯული და დაჰქსენ შორის მათსა სი-ყუარული უკუნისამდე, რომელიცა იქმნა მახითა ეშმაკისათა. და აიძულნა მე-ფემან ჰეროზ<sup>18)</sup> სომები მსახურებად სჯულსა ნისტორის უღმთოვსასა; ხოლო სომებთა ყოვლადვე არა თავს-იღვეს ესე, არამედ ჰრეკეს მეფესა მოციქული-თა ესრეთ, ვითარმედ ნუ იყოფინ ყოვლად ესე ჩუენდა არა ხოლო ქუეყნისა-თვს, არამედ თავთა და შვილთა ჩუენთა ტყუბობისა და სიკუდილისა<sup>19)</sup>). ხო-ლო მეფე იქცა კუალად სხუად მანქანებად და განუცხადა საქმე თვისი განკო-ფისათვს ბერძენთაგან და ესრეთ მიუკლინნა მოციქული, ვითარმედ ერთი-ორთაგანი ყავთ: ანუ გამოიჩიერთ ყოველთა ასურთაგან სჯული თვინიერ მელქთავსა, რომელნი არიან სჯულითა ბერძენ, ანუ დაუტვივეთ ქუეყნაად

ხეთში, იხ. Brosset Hist. G. I, 218, 9 ს. ქ-ცბა, I, 162.—<sup>16)</sup> ამაზე კტლუდ M. Хоренскій, გვ. 197—232, Асогиқე, 51—57.—<sup>17)</sup> აქ დედანს ერთი სიტყვაც აკლია, ვგანებ „სომებთა“.—საყურადღებოა, რომ მემატიანე სრულიად ჰსდღმს ქალკიდონის 451 წლის კრებაზე. რამელიც გახდა უმთავრეს დოლმატიკურ საფუძველად სომეხთა და ქართველთა შორის სარწმუნოებრივის განხეთქილებისა. მემატიანეს აზრი აქ ცხადია: იგი ამით და სხვა ფაქტებითაც ცხადად გვიმტკიცებს, რომ ერთად-ერთი მიზეზი ამ ორ ერთა შორის მომხდარის განხეთქილებისა იყო შხვლოდ პოლიტიკური მდგომარეობა სომხითისა სპარსთა და ბერძნთა ერთმანერთ შორის ქიშპობაში იმაზე, თუ რამელს მათგანს უნდა დასტომობოდა პირველია აღმოსავლეთში და კერძოდ ქართლ-სომხეთში. ქალკიდონის კრება იყო მხოლოდ საბაზო და და არა მიზეზი განხეთქილებისა. მთელი ისტორია სომხეთის ისტორიისა ამას ცხადად გვიჩვენებს. სომეხთა „შეჩვენებანი“ ამასვე გვიჩვენებენ მიზეზად განკორფისა: „რომელ განადგინეს ყოველი სომხითი ბერძნთა მთავრობისაგან და თანა შემწე ექმნეს სპარსთა და მომადლებისა მათისათვე მოიხუნეს ხალიფასაგან წესნი და სჯული... შეჩვენებიან“ („სამოთხე“ 635: ჩემი ხელ-ნაწ. გვ. 103).—<sup>18)</sup> 457—484 წ.— Hist. G. I, 189, 196. Асогиқე, стр. 55.— Kiracos, p. 18—20.—ამ ნაირად, ქალკიდონის კრების უქმაყოფილო პირთა აღუძრავთ სპარსთა მეუე და შეუგონებიათ, თუ რა დიდად სასარგებლოა სომეხთა მოწყვეტა მსოფლიო ეკლესიისაან.

<sup>(19)</sup> об. Асогикъ, 33. 52 въ М. Хоренен. к. III, гл. LXIV—LXVII въ Егише.

თქუმნი და ივლტოდეთ ჩუბნგან. მაშინ სომეხნი შეწუხნეს ფრიად ორსავე ამას სახესა ზედა და შეიპყრნა ურვამან და იქმნა ანჯმანობად<sup>20</sup>) შორის მათსა მრავალთა დღეთა და მიუგდეს საქმე ესე ნერსე კათალიკოზსა<sup>21</sup>), რომელსა ეწოდა მეჯინ. და რქუა მეფემან სომხითისამან და ყოველმან ერმან, ვითარ-მედ უმჯობესი ჩვენი შენ უწყი, რათა პბრძანო უმჯობესი ჩუენითა (ჩენიდ?)<sup>22</sup> დაუყოვნებელად დავემორჩილნეთ ბრძანებათა შენთა.

ხოლო მან საწყალობელმან დაამონნა სულნი კორცთა და არა მიხედა ყო-  
ვლადევ საუკუნეთა გუბრათა და შუბბათა და არა ისმინა კმად უფლისად  
სახარებისაგანი, ვითარმედ უკეთუ ყოველი სოფელი შეიძინო და სული შენი  
მოიკლა, რად მისცე მისი ნაცვალიო. არამედ აზრახა მსგავსი თვისი პირუტყუბბრ  
და ესრეთ ჰრქუა: უმჯობეს არს ჩუბნდა სიკუდილი, ვიღრელა უამსა ამას კუა  
ლად მოქცევად კუალად ბერძენთა და მეორედ დაგდებად ქუეყანისა და მო-  
წყუბდად ჩუბრი მწირობით, და ყოველი ზრახებად მისი იყო საწუთრო და ამ-  
პარტავნად<sup>23</sup>). და მიუვლინეს მეფესა მწუხარებით და ითხოვეს სჯული იაკობ-  
თა, რამეთუ სხუანი ყოველნი უძრეს<sup>24</sup>) შეპრაცხნეს. ხოლო ცოდვად  
მცირე აღორძინდის უფროოს დიდისა უდებობასა შინა, ვითარცა წერილ არს.

ხოლო მეფე დაჯერებულ იქმნა და მოუვლინნა მოძღუარნი იაკობნი ბო-  
როტნი ცხრანი, ვითარცა «მელნი» [მცდელობრი, ვითარცა თქუა სიბრძნეანლუთი-  
სამან სოლომონის მიერ, და მათ განრყუნეს სომხითისა შრომილი წმიდისა გრი-  
გოლისი, მრავლითა ღუაწლითა და ცრემლითა მისითა მორწყული, რომელთა  
სახელები ესე არს: აბდიბოა<sup>25</sup>), პეტროზ მკაწრველი, სკმონ ბოროტი, იაკობ.  
და თანა პეტრილეს წიგნნი ფილაქს ისაის ნი.: ივლიანნესნი.: ალიკარნელის-  
ნი.: ტიმოთე კუბრნი და სევეროს ნაშიკელი<sup>26</sup>). და ყველ კრებად ქალაქ-  
სა შინა დვინს და შესძინეს ხახეცარი, ესე არს სამწმიდა-არსსა შორის

<sup>20</sup> ანჯმნობა=რჩეა, თათბირი.—<sup>21</sup>) 524—533?: Асогиқէ, გვ. 58. ასოლიკი ამ  
ნერსეს მიაწერს დევინის კრებას 551 წ. (გვ. 58).—<sup>22</sup>) ეს ორი სიტყვა მეტი უნდა იყოს.—  
<sup>23</sup>) ე. ი. კ'ზი ნერსე ამ ქვეყნის წუთიერს ანგარიშებს, მისდევდაო და არა სალმრთო საქმეებსა.—  
<sup>24</sup>) ე. ი. უარესად.—<sup>25</sup>) აბდიშო? Асогиқէ გვ. 52, Хоренскій III, გլ. 44. ვგონებ აქ  
იგულისხმება არა თვთ აბდიბო, რომელიც ამ დროს ცოცხალი არ იქნებოდა, არამედ მისნი  
თხზულებანი, როგორც პეტრე მკაწრველზე და იკაობზედაც იგულისხმება. მაგრამ ქვემო აბდი-  
ბო ასური მოხსენებულია თანაზიარად დევინის კრებისა.

<sup>26</sup>) ყველა ზემოხსენებული პირინ იყნენ მონოფიზიტინი—მწვალებელნი; ამათში პეტრე  
მკაწრველი. ჩვენ ხელში გვაჭეს ხელ-ნაწერი „უწყება პეტროს მკაწრველისათვის და ალაჯირი-  
სათვის“, რომელიც დაბეჭდილია საბინინის „სამოთხეში“ გვ. 629. ამ „უწყებით“ პეტრე ყო-  
ფილა კოსტანტინეპოლის პატრიარქი, განლევნილი მწვალებლობისთვის, რომელმან განაცენა  
მართალ სარწმუნოებისაგან „უმანკო იგი ერი სომეხთა“. ეს უწყება პეტროსს ზე და ალაჯიზე  
ისტორიულს სიმართლეს მოყლებულია და გადმახინჯებული უნდა იყოს უვიც მწერალთაგან  
ანუ ზეპირ-მთქმელთაგან. პეტრე არ სჩანს კოსტანტინეპოლის პატრიარქთა სიაში V საუკ.  
ხოლო პეტროს ანტიოქიის პატრიარქი მოხსენებულია ჩემს სიაში № 41 ამ გვარად: „მა:  
პეტროს კანაფელი : წელს (იპატრიარქა) და გაიძა (ე. ი. განიდევნა), რომელმან აცთუნა

შექმატეს ჯურარი<sup>27</sup>) და აჩემეს ვნებად ღუთაებისა ძალისა უცნებელისა და უკუდავსა სიკულილი და განლენეს მართლისაგან და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა და უცხო იქმნეს და განისხნეს წმიდისაგან და ღიღებულისა სამოციქულო კათოლიკე ეკკლესიისა, რომელ არს თავი სარწმუნოებისა და დედა ყოველთა მორწმუნეთა სიტყვსაგან უფლისა, რომელი უბრძანა წმიდასა მოციქულისა პეტრეს, ვითარმედ შენზედა ეგოს მტკიცედ სარწმუნოებად ჩემიო. ჭეშმარიტად უცხო იქმნეს ცოდვითა მათითა დედისაგან ღუთისა და განაწესეს არაჯო-

სომხითი წყეულმან<sup>28</sup> (იბ. ჭ. კ. ხელნაწერი X საუკუნისა № 1143 და კ. მუხ. XII საუკ. № 97) პეტრე გნაფი ანუ ფულონ მართლა იჯდა ანტიოქიის პატრიარქად 471, 475—478 და 485—488 წელს (Brosst, Addit. p. 192, Oukhtanes d' ourna X S. p. 331, n. 1); იგი იყო წინააღმდეგი ხალკილის კრებისა, და პირველმა დასთესა სომხითში მონოფინტობის ღვარძლი. საეკლესიო მწერლები ჰმოწმობენ, რომ პეტროს „აღ ვი დო და საყდარსაცა ანტიოქელთასა“ (ე. ი. ამდენ-ჯვრმე) და ბაზორტა მათ მწვალებლობათა მისთავს წთა მამათა მიერ შეიჩემა და განიკუშტა და საყდრისა თვისისაგან განიდენა და მიერ მოიწია სომხითად და აღმოსავალად (ე. ი. საქართველოს და ტერეთს; ეს ქვეყნები იმ დროს „აღმოსავალუთად“. იწოდებოდა: იბ. № 170, გვ. 202—9)... ხოლო მოვიდა რა ქშეცანასა ამას ჩშეცნსა საოცრებითა, რამეთუ ზინ იგი ზემო კერძო მაღალსა რასმე საყდრად შენებულისა (საყდარი—ტახტი, საჯდომი) სამოსლითა პატივისნითა და ბრწყინვალითა... და შეუდგა ერი ურიცხვო მოძღვრებათა წვალებისა მისთასა დაბწელებული ნაცესავი სომხეთა. მაშინ მოვიდა ზვავი იგი კანგარასა (აგარასა? Oukhtanes, p. 331—კანგარუ) და მოუწოდა ნეტარსა მიქელს კზა ქართლისასა, რათა ანუ სჯულსა მისსა ეზიარნენ, ანუ თუ უჩჩ ექმნას, საყდრისაგან განიკუშნანოს:“ მიქელ კზა ეხალა პეტროსს თავისის ამალით და უბრძანა ყველა მისს მხლებელთაგანს, რომ თითო ქვა ჩაედგათ ქვედებში და ასწავა, „ვითარმედ ვითარ იხილოთ ჩემგან, თქშეცნა ეგრე ჰყავთ ყოველთა. მაშინ მოვიდა მიქელ კზა და თაყვანისუცა წინაშე საყდრისა მის პეტროს მკაწველებისა და სასა ხოლო მან შთაუდვა სახელი შესამოსლისა მის, რათა ემთხვოს იგიცა ჩშეცლებისაებრ მისისა.

ხოლო ღუშოთი განბრძნებილმან მიქელ უპყრა სახელსა მისსა და შთამოზიდნა ძლიერად და შთამოითრია, ქშეცანად დაკუშტა და დასცა ქვთა მით, რომელი აქშნდა ქუდას შინა მისსა და განტვრა ულოთ იგი და ზვავი (ე. ი. ამპარტავანი) და დასდევა წყლულება სასიკუდინე. მაშინ ყოველთა მისთანა მყოფთა ეპისკოპოსთა და მოყუსათა შისთა დაკრიბეს მასხედა ქშა და ესრე დაზეინეს ქვთა და მოკლეს მგელი იგი და შეერაცხა მათ სიმართლედ კაცის კულა იგიც. მაშინ ზარი და შიში დაეცა მათ ყოველთა მმდგომთა პეტროსისათა“...

ეს უწყება, ამოდებული სუბსარქისის ცხოვრებიდამ (ჩემი ხელ-ნაწ., გვ. 119) და საბინინის „სამოთხე“-დამ გვ. 631, ეთანბება სხვა წყაროებს და ისრორის მიმდინარეობას: 1) პეტროს მართლა ვანტანგ გორგასალის დროს ცხოვრობდა და მაშასადამე მიქელიც მისი თანამედროვე იყო; 2) მიქელის ხასიათს სრულიად ეთანხმება ესრეთი ქუევა: ფიცხელმა ხასიათითა მიქელმა თვთ ვანტანგ მეფესაც კი არ დაუთმო და ერთი კბილი მოსტება (იბ. ზემო გვ. 48);—<sup>29</sup> თვთ მე-X საუკ. მწერალი უხთანესიც ამოწმებს ამას, როდესაც იტყვის: აბრაამ კათალიკოზმა (580—603) ეპისკოპოსი პეტროს გაუგზვნაო ქართლის კზს კირიონს; ქართველი სიკვდილს დაემუქრნენ პეტროსს სარწმუნოებრივის განხეთქილებისთვის: „ამ გმირობით ვამაყებულთა ქართველთა ჩვენს ღრმადი შეინახეს მოთხრობა, რომელიც მამათაგან შეილებს გადაეცემა, რომ თქვენი მგელი პეტროს ჩემნთა დიდებულთაგან (par nos principes) მოკლულ იქმნაო კანგარის მთაზე“. უხთანესი შაინც, როგორც სჩანს, გვაგულის-

რი<sup>28)</sup> მუნცე დვინს, რამეთუ თქულს: ეს არს დღე პირველი სარწმუნოები-სა ჩულისაო<sup>29)</sup> და შესძინეს კუალად ბოროტი ბოროტსა და შეჩულნებით და-იწყევნეს თავნი, რათა არა ეზიარნენ კრებასა ქალკიდონისსა და გან[ისხნენ].

რამეთუ პ-ლ[პირველ] - - - თ<sup>30)</sup> შინა და რომელთა ენუქისზე ებრისა გინა ნაქ - - თა<sup>31)</sup> კაცი შეპყრობილნი ფრიადითა საკუთურითა ეშმაკისათა] შეკრულ იყვნეს მსახურებითა კერპთათა და ვა (კითარცა?) ბ-ნ - - სა (ზანან-სა?) შინა ფეშულბითა და ფილოსოფობისა რადესამე მიღევნით<sup>32)</sup> მიღრკეს ბო-როტად და დაავიწყდა ლი (ღმერთი). გინა თუ სიგრძოსაგან ეამთასა და-

სმებინებს პეტროს ანტიოქელს (Oukhtanes. p. 331; ამაზე იხ. კიდევ Kiracos p. 23 და აგრეთვე Addit. p. 122—3; Hist. G. I, 279, n. 4); 4) თვთ ევთომე გრძელი იურუსალი-მელი, მე-X. საუკ. მწერალი, ეტყვის სომეხთა მოძღვარს სოსთენს: „მერმე (პეტროს მკაწვერ-ლი) მოვიდა ქშებყად თქულნდა, აღავსო ბოროტითა წჲალებითა (წჲალება=განყოფა, აქი-დამ: წულილი=განყოფილი მრავალ ნაწილად. რადგან განყოფა ცოცხალის სხეულისა ტკი-ვილს გამოიწვევს, ამის გამო წვალება აღნიშნავს ტანჯვას(კ) და შეაცუნა ერი იგი უსწავ-ლელი. ვინაუ შექურვა ლ-ნ მიქაილ კზ-ი.., (და) ქთა განტვნა იგი... ნეტარმან მიქაილ და, კრებულმან მისმან სალმრთომან უკეთური იგი დაქოლეს“ (ჩემი ხელნაწ. გვ. 130, Hist. G. I, 191, n. 2 „სამოთხე“ გვ. 618). 5) თვთ ამ არსენ კზ-ის თხელებაში პეტროს მკაწ-კრძელი წოდებულია „ანტიოქელად“ (იხ. ქვემო). —ამ საბუთების მიხედვით ჩენ პეტროს მკა-წვრელი პეტროს კანაფელად (Гнафზ) ანუ პეტრე ფულონად მიგაჩინა, წინააღმდევ ბროსესა (Add, p. 123, n. 2, Oukhtanes, 133, n. 1), თუმცა ცხადად ეტყობა, რომ ზემოხსენ-ბულთ „უწყება“ ვიღაც უკაც მწერლის კალმით შესამჩნევად გადამანიჭებულია, მაგ. მო-სხენებულია სულთანი, სარკინოზობა, რომელიც გაჩნდა მე-VII საუკ. ხოლო პეტროსის მიერ იქროთი გავარაყინება წვერისა მოგვაგუნებს ნერსე კზ-ის ამბავს („სამოთხე“ 630, Acogik, etpr.; Kiracos, p. 24).

<sup>27)</sup> ე. ი. „სამ-წმიდა არსა“ საგალიობელში ჩაუმატეს „ჩენთვს ჯვარუმულო“ და ამით ჯვარუმა და ვნება წმიდასა სამებას მიაწერეს, ანუ თვთ ლეთაებას მიაჩემეს სიკვდილი და ვნე-ბა. ამ დამატებით სომეხნი აცხადებენ თვსს მონოფიზიტობას, რომელსაც სიტყვით-კი უარს ჰყოოთნ.

<sup>28)</sup> ახალი წელთა-აღრიცხვა სომეხთა და მარხვა, „რომელი მიიღეს ულმრთოთა მანას-კერტს ტარსუნ ქალაქს დგნს“ შეკრებილთა მწჲალებელთა“ (ჩემი ხელნაწ. გვ. 115, „სამო-თხე“ გვ. 635).

<sup>29)</sup> სომეხნი ამ განყოფის 551 წლიდამ იწყებენ თვისს წელთა აღრიცხვას და, ამით თითქო ჰქალაგებენ: „ეს არს დღე პირველი სარწმუნოებისა ჩენისა“; ე. ი. ძველი სარწმუნოება უარ-ჰყენს და ახალი შეკმნეს დევნელთა მწჲალებელთა. ქრისტეს შობის დღე ნაკლებად მიიჩინეს, ვინე საქრისტიანეთიდამ მათის განყოფის დღე: აქიდამაც გამომპორვალებს, რომ ჰეშმარიტი მიზეზი სომეხთა განდღომისა მსოფლიო ეკლესიიდამ იყო პოლიტიკური და არა სარწმუნოებ-რივი (იხ. Kiracos de Gauidzac III S. p. 22—23, nn.).

<sup>30)</sup> აქ ერთი სიტყვა წაბლალულია.—<sup>31)</sup> რამდენიმე ასო აკლია ამ სიტყვას.

<sup>32)</sup> ყველა მონოფიზიტები თვსს მოძღვებას აფუძნებენ უმეტესად ლოგიკაზე და ფილო-სოფურ მოსაზრებაზე, ვიდრე საღმრთო წერილზე ანუ ზეგარდმო-გამოცხადებულ სწავლაზე, თითქო ჩენი სარწმუნოება იყოს ნაყოფი კაცობრივის მსჯელობისა და ლოლიკისა და არა ზე-ციოთ გამოცხადებულ სწავლისა. ეს იყო მიზეზი იმისი, რომ მართლ-მადიდებელ აპოლოგეტი იძულებული არიან ამავე ნიადაგზე ებრძოდენ მონოფიზიტა მწჲალებლობას.

ვიწყებულ იქმნა შორის მათსა კსენება ღვ (დუთისად), გარნა სულგრძელებითა ღუთისათა<sup>33)</sup>.

ხოლო პურითა და მწვალებელთა შეეჩერება (sic) ბნელი სიტყვაებისა, მოეხვა ჰერული თუალთა და დაბრმა უგულისკმოა გული მათი, ჰელვიდეს ყოველსა დიდებასა ღუთისასა და პირისპირ მტერად აღუდეს კეთილთა და შადლთა მისთა მინიჭებულთა. ჭ, ფრიადსა მასა მეცნრობასა და გარდარეულსა სიბრძესა, ვითარუა თქუა საღან წიგზ (საღუთომან წიგნმან):

ჭა ვითარუა იხილეს ქართველთა და ჰერთა კათალიკოზმან კვრიონ მცხეთისამან, რამეთუ კელითა აბდიბო ასურისადთა კრება ყვეს სომეხთა ქუცყანასა დვინსა და შეჩერებით<sup>34)</sup> განდეგს ალსარებისაგან წმინდისა კათოლიკი ეკლესიისა და განეყვენეს ოთხთა საპატრიაქოთაგან და გარდააქციეს ალთქმად იგი, რომელი დაუდევა წმინდამან გრიგოლი კესარია ეკალესიისა უკუნისამდე არა განშორებად მისგან კელთისასხმად ებისკოპოსობისა სომხითისად : ღ: <sup>35)</sup> და რამეთუ სომხითმან ბრძანება მოილო სპარსთა მეფისაგან კელთ დასხმად ებისკოპოსობისა თავით თვისით<sup>36)</sup>. ეს რამ ცნეს კეშმარიტად კვრიონ კათალიკოზმან, აბაზ ჰერთა კათალიკოზმან<sup>37)</sup> და იქმნა ცილობად დიდი შორის სომხითისა და ქართლისა. ქართველნი ეტყოდეს, ვითარმედ წმინდამან გრიგოლი საბერძნეთით მოგუერა ჩუცნ სარწმუნოებად, რომელი თქუცნ დაუტევეთ ალსარება მისი წმინდა და დაემორჩილენით აბდიბოს ასურსა და სხუათა ბოროტად მწვალებელთა და სერაბინთა იგი სამწმინდარსობით დიდების მეტყუბლებად შეაშფოთეთ და უკორცოსა, გამოუთქმელსა წმინდასა სამებასა შორის ჰქადაგეთ ჯუარი და ვნებად, ვითარუა საბელიანოზთა და იქმენნით მოწაფე ბოროტთა მოძღვართა და არა დაემორჩილენით სარწმუნოებასა წმინდისა გრიგოლისა და აჩემეთ ვნებად უცნებელსა სამებასა, ვითარუა მოგუა განცოცებულმან მკარეველმან ჰერტონ ან ტიონ ქელმან. მაშინ სომეხთა შეასმინეს ქართლი

<sup>33)</sup> აქ რაღაც უნდა აკლდეს, აზრი დაუსრულებელია.

<sup>34)</sup> „შეჩერებით“? ამ სიტყვას შეუა რამდენიმე ასო აკლია.

<sup>35)</sup> ე. ი. გრიგოლ განმანათლებელმან ანდრეაძად დაუდევა თო ხისავე სომხითის საკისებოსოთა, რომ კესარია-ეკლესიასგან მიეღოთ ხელ-დასხმა.

<sup>36)</sup> ესეც პოლიტიკურ მიზეზებით ძალად აქნეინა სომხებს შაპ-ფეროზმა და ხოსრომ (იხ. ვრცლება Aetogikē, str. 65—70, Kirakos, p. 24—29 Add. et eidaike. a 'Hist. de la G., p. 107—125. Hist. de la Georg, I, 231, n. 2; Oukhtanes. p. 279. II. 1).

<sup>37)</sup> ცერემონიუმ მართლ-მადიდებელი იყო ეს სჩანს Aetogikē, გ. 66—68, 70 ეკა-ი- კავაცი, История Агваани, გვ. Hist. G. I, 231, n. 2; Addit p. 117—8, n. 3; 119; 481, n. a. 482. კზი აბბასი მართლა თანამედროვე იყო კვირიანისა და სტეფანებდა 551—595 წლების ანლო ხანებში (Addit. 482). როგორც სჩანს, 596 წლის კრების შემდევ გარდაბანელნი (ალვანიში), რომელნიც ცერემონის კზს ექვემდებარებულენ, ქართველთაგან განცოლიან, მაგრამ კეისარმა ირაკლიმ მონათლა (ე. ი. მართლ-მად. გადმოყვანა) გარაზ გაგელი, ჩვენის ქრისტიან ვარაზ გრიგოლი (ქც.; H. G. I, p. 228 n. 5; Addit. 483, n. a.; მე-VIII საუკ. მართლ-მადიდებელი კზი ნერსე (ib. 485)).

მეფეესა თანა სპარსთასა, ვითარმედ ჰრომთა უბყრია სარწმუნოებად<sup>38)</sup> და ესე ცილობა იყო შორის სომეხთა და ქართველთად დღეთა ნერსე კათალიკოზისა სომეხთასა<sup>39)</sup>. და აღსრულებასა ნერსესა, ნერსე, რომელსა ეწოდა შუალ, განვიდა ბოროტად ცხოურებისაგან და დაჯდა აბრაჲამ საცდალისა შისას<sup>40)</sup>. და განდევნა კურიონ ქართლისა კათალიკოზმან და(?) მოსე ეპისკოპოსი ცურტავისა საყდრისაგან თვისისა<sup>41)</sup>, რომელი დაედგინა წმილასა შუანიკს ნაწილსა თანა სომხითისასა<sup>42)</sup> და ითხოვა აბრაჲამ კურიონისაგან საცდარი მისი; ხოლო იგი არა ერჩდა მას. და განხვინდა<sup>43)</sup> ცილობად იგი შორის მათსა და მოუწოდა აბრაჲამ მღდელთა არარატისათა და ჰრესა მათ: ანუ შეაჩუმეთ კრებად ქალკიდონისად, ანუ განვედით სამკვდრებელით თქუმნით<sup>44)</sup>. და რომელნი დაემორჩილნეს, ვითარცა წერილ არს, დიდება ურთიერთან მიღეს და დიდებად მხოლოდ ლუთისა შეურაცხ-ყვეს და შეაჩუმნეს წმინდა იგი

<sup>38)</sup> მართლაც ამ დროებში (575—590 წ.) მოხდა დიდი შფოთი საქართველოში სპარსთაგან (ქ-ცბა I, Hist. G. I, 191—2).—<sup>39)</sup> შეიძლება ეს სხვა ნერსე იყოს, რადგან ნერსე II 525—533 (თუ 553) და ამის შემდეგ კუნი იყვნენ: იოანეს (553—551), მოსე (551—593), რომელმაც ხელ-დასხა თვით კირიონ ანუ ჰეტრე კათალიკოზი ქართველთა; ხოლო შეძეგ აბრაამი 593—616 Ciracos, p. 27, n. 1; Addit, 482, n. a, 483). აზრთა მიღდინარეობისაგან სჩანს, რომ ეს „ნერსე, რომელსა ეწოდა შუალ“ და სომხურად „მეჯინ“ აბრაამის წინა-მოადგილე ყოფილა.

<sup>40)</sup> 593—616 წ.—კურიონ კათალიკოზად კურთხა 575 წ. მოსესგან, 577 გამოჩნდა მისი მონოფიზიტთა საწინააღმდეგო მოქმედება, 580 წელს დადგინა კისსა. ცურტავის ეპისკოპოსის მოსეს გადაყენებაც იქნებოდა 577—580 წ. (Oukhtanes, p. 280 და იქვე n. 2.)

<sup>41)</sup> ამაზე ფრიად ვრცელად სწერს მე-X საუკ. მწერალი Oukhtanès d'ourhta, თარგმნილი ბრასესგან 2-e livr. აგრეთვე addit et Éclairec. a l' Hist. de la Genr. p. 109—125, სტეფანის ორბელიანი XIII საუკ. მწერალი: Hist. de la Siounie 1863, I, 63—79.

<sup>42)</sup> რადგან მოსე დაუდგენია ეპისკოპოსად თვით წა შუანიკს, სჩანს შუანიკის წამებაც VI საუკ. მომხდარა და არა VII-ში, წინააღმდეგ სომეხთა მეისტრორიეთა და თვით ბროსსეს აზრისა. ჩვენი ქრონიკაც მე-X საუკ. ხელნაწერში პოვნილი და თვით ქ-ცბაც (გვ. 160) ამასავე ჰმოწმობს (იხ. ზემო გვ. 55—56); ისტორიული გარემოებანიც ამას ეთანხმებიან. მეტად საყურადღებო სხვა-და-სხვაობა სომხურ და ქართველთ საისტორიო წყაროებისა წა შუანიკის შესახებ მოყვანილია ბროსსეს Addit. et Éclairec. p. 114—117; 76—80; Oukhtanès, p. 348, 458 Hist. G. I, 214.—ანტონ კუს, სომეხთა წყაროთა ხელ-გავლენით, ბაკურის სახელი შეუცვლია ვახტანგ-მეფისად („სამოთხე“, გ. 191) და სხვა მოთხრობაც შეუკეთებია. ამ კითხებს ეჭირვება დაწვრილებითი გამოკვლევა, რომელიც ქართულ წყაროებს, ვგონებთ, დაამტკიცებს, გარნა უადგილობრისაგამო ჩვენ ვრცელს გამოკვლევას ამ კითხვისას აქვრ ვტვირთულობთ.—ცურტავი, აწინდელი გადშენკი, გახუშტის გაჩიანი (ახტალას ახლო, რუსების სოფელი კამენკა) მდებარეობდა გუგარგში, ცერეთის და ქართლის სამდგრაზე და ექვემდებარებოდა საქართველოს მეფეს და კათალიკოსს (იხ. გვ. მუხ. № 170, გვ. 128, 112, „სამოთხე“ 186—191; Hist. G. 215. n. I Oukhtanès. p. 280, 296—7 ვახუშტ. გეოგრ. 142; Ciracos, p. 295—6, ასოცია, ცტр. 258).

<sup>43)</sup> ე. ი. განდიდა.—<sup>44)</sup> ე. ი. ქალკიდონის კრება უარ ჰყავთო, თორემ თქვენს ეპარქიებს დაპარაგავთო, განგდევნითო.

კრებად და ჯუარი შორის წმინდასა სამებასა დაწესებს; და რომელნიმე არა და-  
ემორჩილნეს და განისხნეს სამკვდრებელით მათით და უცხოებით აღსრულ-  
ნეს<sup>45</sup>). — შემდგომად აბრაჰამისა დაჯდა კო მიტოს<sup>46</sup>), რომელი იყო მდიდარ  
და მოხარკე სამოსელთა და საედართა ზედა, რომელიცა თუაღმოსავან პატიო-  
სანთა ბივრილთა<sup>47</sup>) შეამკობდა თავსა კუტრთხისასა. ამან უფროს ყოველ-  
თასა შესძინა ცილობასა ქალკიდონისასა, და მისურა შვილი საეპისკოპოსო კელ- ჩ 2  
1 2 3  
თა ქულშე ჰერთა კათალიკოზისასა და შეიერთა იგი და შეჩუბნებად სუა კრე-  
ბა ქალკიდონისად<sup>48</sup>). და მისურა ჯუარი სივნელთა ეპისკოპოსას, რათა ვიღო-  
დის ჯუარითა წინაშე მისსა, ვითარცა კათალიკოზი<sup>49</sup>) და განუფართნა ნა-  
წელნი მისნი, და კუალად სხუათაცა ეპისკოპოსთა განუტრცნა ნაწილნი მათ-  
ნი<sup>50</sup>) და ესრეთ შეიერთა ყოველი სომხითი წინააღმდეგომად კრებასა ქალკი-  
დონისას. — და მაარე გულმელი<sup>51</sup>) ვინმე და წყეული იოვანე, რომელსა ეწო-  
და რეცა მოძღუარ, აღჭურა წიგნთა წინააღმდეგომელთა კრებისათვეს წმიდისა  
ქალკიდონისა. და აღუთქუა მას შემდგომად თვესა დაჯდომად საყდარსა მისსა,  
და თარგმანებად სუა წიგნი მწვალებელნი ტიმოთე ალექსანდრიელისანი,  
რომელსა ეწოდა კუტრნი<sup>52</sup>) და პეტროს მკაწრველისანი, რომელსა ეწოდა მგე-  
ლი და სევერიონისნი და სხუათა მწვალებელთანი, და სახელად დაწერნა თქმუ-  
ლად მართლ-მადიდებელთა მოძღუართანი: წმიდისა საპაკისნი და მოსესი, და  
ამით ტყუილითა დაჯერა ქულყანა ყოველი<sup>53</sup>) სომხითისა.

**3** მრავალნი საკითხავნი გამოთქუნა და სახელ-სდგა თვესად და ეგრეთვე  
კანონი და წესნი პირველნი ცვალნა და თვე დაუსხნა მრუდნი, რომლითა  
აიშალა ძუბლი და ვერ დაამტკიცეს ახალი, არამედ უოველი კაცი თვეს-  
თვეს სახეობს, ვიღრე მოაქამდე. <sup>54)</sup> და ესე ყოველი ქმნა კელითა

<sup>45</sup> ბროსეს საფუძვლიან გამოკვლევით ეს მოხდა 596 წელს (Hist. G. I, Oukhtanes p. 280; Kirakos p. 24; Addit. p. Acogiket str. 59—60). აქ საჭიროდ ვრაცხო ჩაგურ-  
ოთ, რომ სურენის მოკლვა ყოფილა არა 571 წ., როგორც ჰერობებს ემინი (Acogiket, გ.  
59), არამედ 572 წელს, რადგან 22 თებერვალს სამშაბათი მოდიოდა 572 წელს და არა  
571-სა (იხ. აგრეთვე Stephanos, Hist. de la Siounie, p. 62—3. Ист. Агванъ, გз. 216).

<sup>46</sup>) კამიტას იჯდა კუნად 616—624 წ. (Acogiket, 61; Kiracos, 27, n. 1.)—

<sup>47</sup>) „ბევრეულთა?—<sup>48</sup>) ე. ი. სომხითის საკათალიკოზოდამ შეიღო ეპარქია დაუთმო ცერეთის  
კათალიკოზს და ამით მოისყიდა იგი. —<sup>49</sup>) მხოლოდ კათალიკოზებს ჰქონდათ ეს უპირატესო-  
ბა. —<sup>50</sup>) ე. ი. გააგრცელა ეპარქია მათი. —<sup>51</sup>) მაირე-გულმელი ითანე ანუ ითანე მაირაგომე-  
ლი, რომელმან მონაფიზიტერი მწვალებლობა შერთო სომხურ საკლესიო წიგნებს, იმ დრომ-  
ე წმიდად თარგმნილებს. იხ. Acogiket str. 61, 62. ამ ითანეზე ახალი საყურადღებო ცნო-  
ბები დაცულია ამ არსენის წერილში. —<sup>52</sup>) ტიმოთე ალექსანდრიის პატრიარქი წოდებული  
„ელლურად“, ხოლო ქართულად კუტრნად, იყო თანამედროვე ქალკიდონის კრებისა და განი-  
დენა მონაფიზიტობისათვე: 451—457 წ. Kiracos p. 19.—<sup>53</sup>) ასოლიკის თქმულებით  
(გ. 61) მაირე-გომელის წიგნები თანამედროვეთა არ შეიწყნარესო. (Hist. Siounie, 64. 73—4).

<sup>54</sup>) არსენის დროს ერთ-გვარი წესი არ ყოფილა დამყარებული სომხთ ეკლესიაში. შე-  
სანიშნავია, რომ სომხთ კათალიკოზი და მწერალნი ჩვენს დრომდისაც კი სხვა-და-სხვაობენ,

განცოფებულისა ითანე მახრე გულმელისათვს დაშურა ვერ მიემთხვა კორცილსაცა საწადელსა მისსა, რამეთუ ესე ყოველი ბოროტი საყდრისათვს იძმაცუა და არაც ირგო<sup>55</sup>); არამედ ქრიტეფორე ვინმე დაჯდა, <sup>56</sup>) რომელი იყო მტერ მაირე-გულმელისა და განმწარდა სულითა ითანე და კუალად გარდააგდეს იგი მიზეზითა რაეთმე<sup>57</sup>) და ელხინა ითანეს და აქადთცა არა მიხუდა საყდარი. რამეთუ ეზრა დაიპყრა<sup>58</sup>) და უფროს შეაწუხა სული მისი მზაკვარი, რამეთუ ნება მოშიშთა მისთა ყვის უფალმან, ხოლო უკეთურნი დღედ რისხვად დაპმარხნის. და ესე ვითარით ზაკვითა განდიდნა პირველ მოხსენებული იგი კომიტოს და ეუფლა ნაწილსა ზედა წმიდისა გრიგოლისა და მახრე-გულმელისა მიერ აღივსო ქუცყანაც სომხითისა სიკუდილისა მომტყუბელითა სწავლითა.

აქა უკუც აღესრულა ჩულნება იგი წმიდისა გრიგოლისი, რომელი აუწყა მას სულმან წმიდამან, ვითარმედ რომელნიმე ცხოვართაგანნი უკუნ იქცეს და შეგლ იქნნეს და ზედამოეტენეს ცხოვართა და დაბძარნეს უწყალოდ. <sup>59</sup>) ეგრეთვე აღესრულა ჩულნებაც წმიდისა საკავისი<sup>60</sup>), რომელ იხილა ბირთვოქროვასა და ინაფორი (sic) ზედა წმიდასა საკურთხეველისა. რამეთუ აკოცასა თანა მეფობისა არბაკიადესა (აზშაკთასა) <sup>61</sup>) აელო მღდელობაცეცა წმიდისა გრიგოლის ნათესავისა; და ეყენნეს (ეჩენნეს?) ქარტასა მას ოქროწერილნი იგი რადაგნი და შეკორცილმან დაიპყრა ადგილი იგი ოქროს ბრწყინვალთა(?). ესე. არს რომელნი შეუდგეს მახრე-გულმელისა მოძღურებასა.

ხოლო არა მცირედი აღთქმა ყო ხუსრო მეფემან ნერსე კათალიკოზისა მომართ, რომელსა ეწოდა შეუად, ესე არს სომხურად მიჯინ<sup>62</sup>), რომლითა შე-

როგორც ცხადად დამკიცებულია ანტონ კათალიკოზის „მზა-მეტყველებაში“, ერთი განკურძოვებული და დათავებული სარწმუნოებრივი მიძღვნება ვერ შეუმუშავებათ. ძველ კათალიკოზთაგან ერთი წილი მართლმადიდებლობითს სარწმუნოებას აღიარებს, მხოლოდ სიტყვითლა არ აღიარებს ქალკიდონის კრებას, ზოგნი მონოფიზიტობენ, სხვანი ნახევარ-მონოფიზიტობენ, ბევრნი იყვნენ მართლ-მადიდებლობის აღმარებელნიც. ეს არის მიზეზი იმისი, რომ მცნიერნიც ჯერ ვერ დიმყარებულან ერთს ჰაზრზე სომხეთ სარწმუნოების შესახებ და სხვა-დასხვებრ სჯიან ამ საგანზე. თვით სომხურ საეკლესიო წიგნებში კი მრავლად დათესილია მაიერ-გომელისა და მიმდევართა მისთაგან ღვარძლი მონოფიზიტობისა.

<sup>55</sup>) არსენის ნათქვამს თითქმის ამკიცებს ასოლიყ, გვ. 61.—<sup>56</sup>) 624—629 წ. იხ. Hist. G, I, 196, პ. 5.—<sup>57</sup>) Acogikē, 61.—<sup>58</sup>) 628—639 (Addit. et Éclaire. p. 483). ამ ეზრას და კეიისრის ირაკლის დროს 628 წ. სომხითის კრებამ მიიღო მართლ-მადიდებლობა: Acogikē, 61; Kirakos, p. 28; Stepanos, Hist. de Siounie; იხ. Ch. XXXVII.

<sup>59</sup>) ეს წინასწარმეტყველებრივი ჩენება წისა გრიგოლისი იპოვება ჩენებან პოვინს, XI საუკ. მისს ცხოვრებაში (წერა-კიოხ. ხელნაწ. № 384).—<sup>60</sup>) 390—440 წ. (Kirakos. p. 12, ი. 8; Acogikē, Стр. 50).—<sup>61</sup>) 428 წელს. История Авгани, გვ. 290; 369.

<sup>62</sup>) 524—533 წ. იხ. შენიშვნა № 21. აღვანნი რომ მართლ-მადიდებლობას ირჩევდნ, ამაზე. იხ. Acog. 74.—<sup>63</sup>) 639—661 (Acogikē, 71). ოქროცხებულება წვერირისა ასოლიკით (გვ. 74—75) მიეწერება კზ'ს ითანეს (722—733 წ.);—ამ ნერსეზე იხ. Acogikē,

არყია უგულისკმოდ გული მისი. ქმნა კრებად პირველი დვინს (იხ. შენ. № 72) და განეშორნეს სჯულითა ბერძენთა და იტრუსალიმსა.

ხოლო ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისა განეყენეს კელთ-და-სხმისა მღდელობისასა სომეხთაგან; არამედ ჰერნი და სიცნიელნი უამ ერთ განეყენეს და კუალად შეერჩნეს ნერსეს ვისმე, რომელი წულ[რ]თა ოქროდ-ცხებულ ჰყოფდა<sup>65</sup>). ქმნა კრებად სომხთა კათალიკოზმან იოანე მანა წერტს<sup>66</sup>) და წყ[ლ]ისა რთვად და პურისა ცომი გააშორნა წმინდასა სადღუმლოსა და ბალარჯი დაურწყოდ, დაამტკიცა, რომელი არა ესწავა წმიდათა კრებათაგან პირველთა და წინააღმდეგა საღთოთა წერილთა<sup>67</sup>), რომელსა იტყვს წმიდა მოციქული: სამნი არიან, რომელნი წამებენ: სული, სისხლი და წყალი, რა-მეთუ წყლითა(?) და ვეზიარებით მოსატევებელად და საკსრად. და სოლომან თქვა: უსხი თვესი დაკლა და განზავა ტაკუკთა თვესთა ღვნოდ და მორწმუნეთა ჰრება: „მოვედით და სუთ ყოველთა“; — დიდი ათანასი იტყვს, ფსალმუნ-სა განჭმარტებს: სასუმელი კელთა შინა უფლისათა ურწყული სავად არს სხმულითა. ურწყოდ ღუთაებისა მოასწავებს, და სხმული იგი— აკებასა ეს არს წყალი, რამეთუ პირველი სიმდაბლე ღუთაებისა თანა-შერენა იყო უძლური-სა ბუნებისა ჩქერნისა; და ეს მოასწავებს ორსა ბუნებისა ღუთაებისა და კა-ცებისა ქრისტესისა და ამით ჯერ არს განზავება ღვნისა. და ეპიფანე კვპრელი მასწავებს ამასვე სახესა, რომელ იტყვს: „შენ ხარ მღდელ უკუნისამდე წესსა მასზედა მელქიზედეკისსა“. რამეთუ მელქიზედეკ პურისა და ღვნისა შეს-წირვიდა არა უკომისა და ურწყოსა და ამისათვეს ვცანთ მისი მღდე-ლობისა სახე. და წმიდა ბასილი იტყვს წმიდათა(?) საიდუმლოთა მეო-რესა(?), ვითარმედ აღილო პური და ამაღლებული<sup>68</sup>) მიგიპრა<sup>69</sup>) შენ ღრა (ღმერთსა) მამასა, აკურთხა, განტეხა და მისცა მოწაფეთა. ეგრეთვე სასუმელი მოსთულებული ვენაკისა აღილო, განზავა და მისცა კურთხეული მოწაფეთა თვესთა.

ხოლო მრავალ-ხახე იყვნეს წვალებანი მათნი: საბელიანოსნი, იაკობნი და ტიმოთე კუტრნისნი, რომელთა სენი მანიქეველთა ეპირა, განშორებულნი ყოველისა სიმართლისა და კანონისაგან. რამეთუ ამათ კელი აღიკარნელისა

გვ. 62—71. აქ ლაპარაკია იმ კრებაზე, რომელიც იქმნა 726 წელს „მანაწერტს“, ხოლო ასო-დოკით (გვ. 74) მანაწერტს, რომელშიაც სომხებმა ახლად შემოიღეს უფუგარ ჰერით ზია-რება და სხვა ცვლილებანი, არსენის მიერ აღნიშნული (ასოცია, გვ. 74—5). ამ კრებამ სომხითის კვლესის სრულიდ მოსწყვირა მსოფლიო კვლესიდამ და შემოიღო მონოფიზიტო-ბის ღვარძლები და ახალ-საკელესიო წეს-წყობილებანი. ამისი მოქმედი კური იოანე, კაცი ანგა-არი, ამპარტავანი და დიდების მოყვარე, მეგობარი იყო ხალიფასი, რომლის ბრძანებით მო-ახდინა კრება დასარღვევლად პოლიტიკურის კავშირისა ქრისტიან სამეფოთა შორის (ასოცია 74—6). მანასკერტის კრება ბ. პატანინით იყო 650—4 წ.: გევანდ, გვ. 132.

<sup>65</sup>) იოანე სოფლიდამ „ოწენა“ 718—729 წ. (H. Siounie, p. 72)—<sup>66</sup>) ამას ასოლიკიც ამტკიცებს, იხ. გვ. 74—75.—<sup>67</sup>) ე. ი. ცომოვანი?—<sup>68</sup>) აქ დედანი ძალიან დაჩრდილულია.

შომქუდარისა დაიღვეს შოწამედ თავსა, ოდეს მოყუასთა მისთა ორთა არა აქუნდა შოწამე; და მამათა თქუმს, ვითარმედ სამთა ჯერ არს წამება სარწმუნოთად. მათ ვიღრე არა დაეფლა ივლიანე, აღიღეს კელი მისი და დასდგეს შოწამედ თავსა ზედა ე[რ]თისა მათგანისასა, რომლისათვის სახელ ედები(ს) ვიღრე მოაქამდე კალნამ კუდრევნი<sup>68)</sup> და ესრეთ დღითი-დღე შეურაცხ იქმნეს და მოაკლდებოდეს მწვალებელნი იგი და არა აქუნდა [ლონე საი]დამცა<sup>69)</sup> იკურ-თხეს ეპისკოპოსი.

და განისმა სომხითისაჲ, ვითარმედ განდგეს სარწმუნოებისაგან წერთა მამა-თასა] და კელ-დასხისაგან კესარიისა, ვითარცა ესწავა მისგან. და მიუვლინეს ნერშაპუს ტარონისა ეპისკოპოსსა, რომელი დაედგინა სპარსთა მეფესა ორთა თანა მოყუასთა მისთა და პრექუმს, ვითარმედ ყოველნი გარდაიქცეს ერთბა-მად და აღიღეს ნისტორისა წვალებად და კრება ქალკიდონისა დაამტკიცეს და ჩუტი არა გუაქვს საყდარი, საღა კელნი დავისხნეთ და მივჭმარო[ავ]თ შესა (შენია) კეთილად მსახურებასა, რათა დაგდეგინნე ჩუტი ეპისკოპოსნი, რამეთუ ყო-ველთა ცნეს გარდაქცევად მათი წვალებად.

და რამეთუ სპარსთა მეფენი იძულებდეს სომეხთა, რათა განეშორნენ ბერძენთა სარწმუნოებასა, ვითარ პირველ ვახსნეთ. და რათა სიძულილი შთავარდეს შორის მათსა გამოშორებითა სჯულისათა და ამით უმეტეს მორჩილ იყენენ სამეფოსა სპარსთასა, და ქრითამი დიდ-ძალი აღუთქუნა (შიც) წინამძღვართა სომეხთა, რათამცა იქმნა ეგრე, რაჯაშ აღებულ იყო მღდელთ-მოძღვრე-ბად გრიგოლის სახლისაგან<sup>70)</sup>.

და აუწყა ნერშაპო ეპისკოპოსმან ნერსე კათალიკოზა, რომელი იყო აშხარაკლი<sup>71)</sup>, ესე იყო ბოროტად მწვალებელი, და პეტე (პეტრე) ვისმე

<sup>68)</sup> აქ არსენ უბრუნდება იმას, თუ როგორ აკურთხეს სომეხთა თვეი კათალიკოსი, რადგან შემდეგ მსოფლიო ეკლესიიდამ განვრდომისა მართლმადიდებელნი პატრიარქი და კუ-სარიელნი ეპისკოპოსნი არ უკურთხევდნენ მათ კათალიკოზ-ეპისკოპოსთა.

<sup>69)</sup> რამდენიმე ასო წაბლალულია, ალბათ უნდა წერებულიყო: [„ლონე საი]დამცა“ დასხ.

<sup>70)</sup> ასოგიქ, გ. 62—70.—<sup>71)</sup> ე. ი. სოფლისგან იშხარაკლისა; ასოლიყოთ აშტარა-კექ (გ. 58); იხ. შეინშვა № 21. ვვონებ ნერსე იშხარაკლი და ნერსე „მეჯინ“ ანუ „შუალ“ სხვა-და-სხვა პირნი უნდა იყვნენ, რადგან უკანასკნელი ცხოვრებდა 525—533 წ., ხოლო პირველი, როგორუ სჩანს, 549—551 წლებში. ასოლიყო ირევა აქ ქრინოლოგიაში (გვ. 58, იხ. შენ. № 39. იხ. ისტორია აგვანს, გვ. 239; 142; 269; 217—20; 93—7).

<sup>72)</sup> პირველი კრება ნერსე „მეჯინის“ მეოთხე წელს, ე. ი. 524+4=528 წ. (ასოგიქ, Kirakos, p. 23, 315—317 და გვ. 58). ხოლო ეს მეორე კრება დევნისა უნდა იყოს სხვა, რომელიც მოხდა მეთოთხმეტესა (უნდა მე 24-სა) ისტვნიანე მეფისასა ე. ი. 527+24=551 წელიწადა, მეორეხა (უნდა: „მეოცესა“) ხუასრო სპარსთა მეფისასა, ე. ი. 531+20=551 (ხვასრო I † 578), წელიწადა მას რომელსა ეწამა წა იზიდ-ბუზიდ, ე. ი. 552 წელს (ასოგიქ, გ. 316); კათალიკოზობასა ნერსე იშხარაკლისა, რომელიც ალბათ პმართებდა 549—551 ანუ 549—553 წლებში,—სომხურ წყაროებშიცა არეულია ეს ქრინოლოგია და განმარტულია ემი-ნისაგან, (ასოგიქ, გ. 315—317),—ნერსე III ცხოვრებდა 638—661 წ. (Addit. p. 76).—იოპანეს (ნერსეს?) კათალიკოზობდა 533—550 წ. (ასოგიქ, 58).

ქერდულსა, სხუათაცა ეპისკოპოზთა და აზნაურთა, და ბრძანეს მეორედ კრება დიდი ყოფად, და მუნვე დვინს მისვე ნერსესზე წელსა მეორესა<sup>72)</sup> და მეათოთხმეტესა წელსა იტსკნიან მეფისასა, წელიწადსა მეორესა ხუასრო სპარსთა მეფისასა, წელიწადსა მას, რომელსა იწამა წმიდა აზიდ-ბუზიტ; და კუალალ შეაჩენეს წმინდა იგი კრება ქალკიდონისად და სახელს დვეს<sup>73)</sup> ნესტორიანი, სიტყვსაებრ აბდიბო ულთოვსა, და მასვე წელსა განაცხადეს წიგნი იგი თარგმნილი ტიმოთეს და ფლაქსონ მწვალებელთანი, რომელნი [იყვნეს ასურ]<sup>74)</sup>, რომელნი პირველვე აღწერნეს წინა-აღსაღვომელად ქალკიდონისა და ორთა ბუნებათა ქრისტეს ღუთისათა, და კუტრნისა<sup>75)</sup> წერილთა მორჩილ ექმნეს სიტყვილიად თავთა მათთა და ჰსტეჭუს ერთი ბუნება სიტყვსა ღუთისა და კორცთა, და უკუდავითა ბუნებითა ქადაგეს ქრისტე ჯუარუმულად და მომკუდრად, ესე არს შექმატეს „წმიდაო ღმერთოსა“ რომელ არს ხაჩე ცარი, სიტყვსაებრ პეტროზ ანტიოქელისასა<sup>76)</sup>, რომელსა საბელისი აქუნდა სენი. და განსაზღურეს შეჩენებით კიდე (sic) განდგომისა] მართლისაგან სარწმუნოებისა, და პირველ მოხსენებულნი ბეგი მწვალებელნი მოძღუარნი წარავლინეს ყოველსა ასურეთსა ხარებად უკუნისამდე პყრობად ერთობით წვალებად მათი.

და მნეტრაპოლიტად<sup>77)</sup> თჯად დაადგინეს ალიკარნელისად იგი კელმომკუდრისად და ზოგთა აბდიბოს კერძთა სხუად ვინჩე.

ხოლო ყოვლადვე არა-სადამთ აქუნდა წამება პირველი მამათაგან და კრებათა წინააღმდგომად (sic) კრებისა ქალკიდონისასა და ორთა ბუნებათა უფროსა ჩუტისა, ისიო ქრისტესთა და თვთ იკო[და] სალმობად გულისა მათისა, რამეთუ განშორებულ იყვნეს ჭეშმარიტებისაგან, რომელი ესწავა წმიდისა გრიგოლისაგან მართალი.

და სამი ოდენ წელი<sup>78)</sup> გარდასრულ იყო კრებითდგან ქალკიდონისად და მათ მე(?) წა (წმიდა) საპაკ<sup>79)</sup> და მასტოს (მახტოც?). შვილიშვილი გრიგოლისნი და ყოველნი მეფენი მათნი და მოძღუარნი მათნი, როთა პირველნი წიგნი თარგმნეს ნეტართა ლეონტი და ის-ბ (ილაშ) წინამძღუართა სომხითისათა და სხუათა ურიცხუთა წმინდათა და იფქლი წმინდა დასთესეს მათ შორის, ხოლო მათ ფიცხელი ეკალი ნებსით განაწონეს სულთა მათთა და ერსა უბრალოსა და თვთ მოსე ქერდულმან მიუთხრა წარწყმედად მათი და არცა მისი ისმენეს.

ამისა შემდგომად გარტავდეს უამნი რაოდენნიმე, მოკუდა ვა ჰან მამ

<sup>72)</sup> ეს სიტყვა მქრალია დედანში; უნდა იყოს: „სახელ-სდევს“. — <sup>73)</sup> ეს ორი სიტყვა სრულიად გადასულია, ჩვენ თვთონ ჩაქეცით აზრთა მიმღინარების მიხედვით. — <sup>74)</sup> ე. ი. ტიმოთეს: იხ. შენ. № 52. — <sup>75)</sup> „მკწერელისა“ განა ანუ ფულის“, იხ. შენ. № 36).

<sup>76)</sup> მიტროპოლიტ? — <sup>77)</sup> ე. ი. 453—454 წ. აქიდამ არსენი ისევ უბრალება პოლიტიკურს ისტორიას სომხითისას, ხოლო აქმდო მოგვითხოვდა სომხეთ ეკლესიის მსოფლიო ეკლესიიდამ განვარდნის ამბავს. — <sup>78)</sup> 384—434 წ. აქ დედანი მეტად გადასულია.

კუ ტნი<sup>80</sup>), რომელმან სიმკნითა თვისითა დაიპყრა შარზაპნობაჲ სპარსთაგან და ძებნნა სამართალნი ქრისტინეთანი, თრდატ მეფობითგან დადებულნი წესნი ეკლესიისანი და გლახაკთანი, უკუმოიკუნა სოფელნი და უხარკოდ განათავი-  
სულნა.— აქადთგან სპარსთა დაიპყრეს სომხითი და შეურაცხ იქმნა წესი სა-  
ქრისტიანოდ და ეკლესიათა განგება აიკოცა (შიც) და აზნაურთა კელმწიფება დაე-  
ცა სპარსთა მარზაპნთაგან<sup>81</sup>) და კათალიკოზნი და ეპისკოპოსნი განდრკეს  
სიმართლისაგან და კადნიერებაჲ მოიღეს სპარსთაგან წინააღმდეგომად აზნაურთა  
და ხარქსა სოფელთასა თვთ გარდაიკლიდეს, და ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოს-  
თა მიანდეს ქუცყანა, ვითარცა მორჩილთა მეფობისა სპარსთასა.

ზა რომელთამე კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა მეფენი სპარსთანი დაი-  
შვილნეს და ძეობილად უწოდდეს კავადს,<sup>82</sup> რომლისათვსუა მსჯელობა მთავ-  
რობისა თვთ მიიტაცეს და არა სიმართლისაებრ კანონთასა, არამედ თვსისაებრ  
ნებისა იქცეოდეს და საკმარი ეკლესიათა არა ვითარ დაწესებულიყო ეკკლე-  
სიათათვს, არამედ საკმრად თვსა და კაცთა საჩუტნებელიად განაბნევდეს, რომ-  
ლისათვს ეპისკოპოსნი ყოველნი და მმასახლისნი ყოველნი მიიქცეს ღუთისა  
განსარისხელსა ამაოსა შესაძინელსა სათნოებითა მეფეთა უღოთოთათა.— და მერ-  
მე აზნაურნი და ერისგანნი მიბაძვითა მათითა განეშორნეს ყოვლადვე კანონთა გან-  
წესებულთა წმინდისა ნერსესთა და წმინდისა საპაკისთა, რომელ(?) დღეთა ვაპან  
მამკუტნისათა დაესხნეს ერთგზის წელიწადსა შინა სახლთა ყოველთა დიდებულ-  
თასა ყოფად სახსნებელი ერთისა ვისმე წმინდათაგანისა, რათა განისუტნონ გლახაკ-  
თა, სნეულთა, და ჭირვეულთა, ობოლთა და უპუფართა აღაბითა სახლთა შინა მათ-  
თა სადიდებელად ღუთისა. ესე ყოველი განაქარვეს თავთა თვსთა შესაძინე-  
ლისათვს<sup>83</sup>), და დაკსნდა და დაირლუა ყოვლისა სულიერისა კეთილისა ჩუტუ-  
ლება და წესი და დაიმკვდრა ბოროტმან მოდღენდელად დღედმდე და იქმნეს  
საეპისკოპოსონი, ვითარცა საკერპონი, და მიეკიდიან აზნაურნი კარად საეპის-  
კოპოსოდ და არა ჰპოეიან უამი შესლევად და შეიქციან სირტცლეულნი, ვი-  
თარცა კარისაგან სპარსთა მარაპანთავსა და უფროსესრო, რომლისათვს ვერლა-  
რა დაითმინეს შეურაცხება იგი ფრიად ვარდან მამკუ ტნ მან<sup>84</sup>), რომელსა  
ჩოქხი ეწოდა, რომელ არს ურჩ, და ნათესავთა მისთა აზნაურთა სხუათა  
შერაცხილთა მოკლეს სურენ ვინმე მარზაპანი სპარსი და სახლები

<sup>80</sup>) 482—511 წ. Αεογικέ, 55—56. Hist. G. I, 189, 196.

<sup>81</sup>) Αεογικέ, стр. 57—8, Kirakos, p.—<sup>82</sup>) ხოსრო-პარვის 590—628 წ. (Addit. 476); ხოლო ხოსროვ 531—579 წწლებ შუა მეფობდა.

<sup>83</sup>) რომ სპარსეთთან დაახლოვება სომხების სამღვდელოების საქმე იყო, ამას ამოწმე-  
ბენ თვთ სომეხთ მეისტორიენი. ამას შეუდგა გაძლიერება სპარსთა მარზაპნებისა, დამცირება  
სომეხთ მეფეთა და ღიღებულთა. არსენი გვიჩვენებს, რომ ყოველივე ეს იყოო ნაყოფი სო-  
მეხთ სამღვდელოების ანგარებრიენის ანგარიშებისა, და თვთ 551 წლის განდგომა სომეხთა  
მსოფლიო ეკლესიისაგან იყო ამავე ანგარიშების შედეგი.

<sup>84</sup>) ე. ი. ვარდან მამკუნიანი (შეადარე, Steph. Hist. Siounie p. 65—7).

მათი მათი (bic) მოწუბს ცეცხლითა<sup>85</sup>) და დედა-წულითურთ ლტოლვილნი წარვიდეს კოსტუანტიპოლის; და წარვიდეს და შეიწყნარნა კეთილად მეფებან ისტუნიანე<sup>86</sup>), ხოლო იგინი არა ეზიარნეს<sup>87</sup>) მათთანა (მთთა); და დაუკვრდა მეფესა ესე და იკითხა მიზეზი<sup>88</sup>). ხოლო მათ უთხრეს, ვითარმედ ცილომა იქმნა კრებისათვს ქალკიდონისა და მოძლუართა ჩუბნთა არა შეიწყნარეს; და ბრძანა მეფებან მოწოდება მოძლუართა და განსკოპსთა სომხითისათა, რათა გამოიკითხონ და ცნან მართალი.— და შემოკრბა კრება დიდი კოსტანტინე პოლის<sup>89</sup>) და ფრიადი გამოწულილვა ყვეს და განმარტლდა სამართალი და აღიარეს ყოველთა ერთობით კრება ქალკიდონისა და თვთ სომხითმან ყოველმან დაწყევა და შეაჩუბნეს მგმობარი მისი და შეერთნეს მათ თანა და ითხოვეს მეფებისაგან კეთილად დასავლისა კარი სოფიასა აღშენებად ფასითა თვსითა, რამეთუ მას ოდენ უამსა აშენებდეს მას. და მიანიჭა მეფებან საწადელი მათი და მათ მისცეს ფასად შენებისა ვეცხლი წმინდა ა[თ]ი ბევრი და სახელად უწოდეს „კარი სომხითისა“ ვიდრე მოაქამომდე<sup>90</sup>).

და მოიქცეს კრებისა მისგან და მოიწივნეს სომხითს და რომელთამე გულმოღინედ შეიწყნარეს და დაემორჩილნეს ერთობასა და რომელთამე, ვითარუა გულმოღად, უფროოსელა შესძინეს აღძრევა ერისად და შფოთი ბირებითა მახრე გულმელისათა და ესე იქმნა დღეთა ითანე კათალიკოზ ის ათა<sup>91</sup>).

ამისა შემდგომად მავრიკ კეისარმან<sup>92</sup>) წარავლინა მუშელ მამკუტნი დიდი ზორავარი სომხითისად და მისცა სამეფო სომხითისა ხუსროოს<sup>93</sup>).

<sup>85</sup>) სურენ მარზაპინის მოქლვა (564—572) მოხდა 572 წ. და არა 571 წელს, როგორც ჰერიქობს ემინი (Acogikē, стр. 59), რადგან 22 ფებრერვალი სამზაფათს მოდიოდა—572 წ. (იხ. ზემო შენ. № 45). ბროსე ამას ვგიჩვენებს 570 წ. (Hist. Sionie, p. 62; 62).

<sup>86</sup>) იუსტინიან II 565—577 წ. (Hist. G. I, 220).—<sup>87)</sup> ე. ი. მათს წირვა-ლოცვა-ში მონაწილეობა არ მიიღოს.

<sup>88</sup>) ესც საბუთი, იმისი, რომ სომხეთა განდგომა გათავსებულ საქმედ არ მიანდათ, რადგან ეს იყო რამდენისამე ეპიკოპოსის ანგარიშების შედეგი. საქართველოშიც არ სჯეროდათ, რომ სომხეთი მართლა განდგნენ და ეს იყო მიზეზი იმისი, რომ 596 წლამდი ერთობა ქართველ-სომებთ ეკლესიათა არ შეწყვეტილა.

<sup>89</sup>) ამასავე იტყვის Acogikē, стр. 59.—<sup>90</sup>) Ibid. იუსტინ II-მ განაახლა დაქცეული სოფია.

<sup>91</sup>) იანე ასოლიკით იჯდა 533—550 წელს, ხოლო აქ აღწერილ დროებაში 572—577 წლებში, იჯდა მოსე (Acogikē, 58—9). ამის გამო აქ უნდა იგულისხმებოდეს კზ’ი ითანე, (გოგოტელი?), რომელიც მართლ-მადიდებელი იყო და განგებდა იმ ნაწილს სომხითისას, რომელიც ბერძნებს დარჩათ. ეს ითანე თანამედროვე იყო მოსე და აბრამისა და მოკვდა 616 წ. (იხ. ამაზე ბროსეს ჰარი Kiracos. p. 27 და ი. 1).

<sup>92</sup>) მავრიკ ჰმართვიდა 13 აგისტოდამ 582 წ. 27 ნოემბრამდე 602 წ. (Hist. G. I 216, Kiracos, p. 25—26; მოსე კზ’ი 551—594 (კაგანკავაც, стр. 214)).

<sup>93</sup>) იხ. Acogikē, стр. 60.—საყურადღებოა, რომ არსენი და ქუხბაც არას ამბობენ იმ 596 წლის კრებაზე, რომელმაც სამუდამოდ დარღვია კავშირი ქართველ-სომებთ ეკლესიათა შორის (Addit. 107—125; Kiracos. p. 23—5 და Oukhtanes, p. 277—351).

ხოლო ხუასროვ დვინითგან ყოველი დამორჩილა კეისარსა და იქმნა შშეიდობა შორის მათსა<sup>94)</sup> და მუშელს ნიჭი, დიდ-ძალი მისცა და წარავლინა იგი სამეფოდ; და ვითარ მიიწია მუშელ კოსტანტიპოლის და დაემთხვია დღე-სასწაული ჯუართა აღბყრობისად და არა ეზიარა იგი მათთანა და ყოველნივე, რომელნი იგი მათთანა იყენეს, და იკითხა მეფემან და აუწყეს, ვითარმედ კრებისათვს ქალკიდონისა და ორთა ბუნებათა ქრისტესთა.

ხოლო მეფემან ჰრეიუა, ვითარმედ უწინარეს შენსა ვარდან და მისთანათა აზნაურთა ყოველთა შეიწყნარეს კელითა მოძღუართა თქუცნთათად და მრავლითა გამოძიებითა წერილთამთა. ხოლო მუშელ ჰრეიუა: «ნუ უკუც უმეცრებითა, გინა, შიშითა თქუცნითა; არამედ უკეთუ ბრძანოს ქრისტეს მოყუარემან მეფობამან შენშან და სიმართლით შუამდგომელ იქმენ, ჰპონ ამისთვს ქეშმარიტი მოძღუართა ჩუცნთაგან».

და უბრძანა მეფემან კათალიკოზსა სომხითისასა მოსეს და ყოველთა ეპისკოპოზთა, რათა მოვიდენ კოსტანტინეპოლის და კუალად გამოიწულილონ და დაემტკიცოს მართალი.

ხოლო მოსე კათალიკოზი არა დაემორჩილა, არამედ ესრეთ ჰრეიუა მოციქულთა: „არა წარვედე მდინარესა აზაცსა, რომელ არს საზღუარი სპარსთად, არა ვაჟმო ფურნიდი ბერძენთა და არცა ვსუა თერმონი მათი“ და ეგრეთვე ეპისკოპოსთა ვასტურაგანისათა, რომელნი იყუნეს სახელმწიფოსა ქუეშე სპარსთასა, არა ინებეს წარსლვად. ხოლო ეპისკოპოზი ტარონისა და ყოველნი ეპისკოპოსი, რომელნი იყუნეს კელისა ქუეშე ბერძენთასა, მსწრაფლ მიიწინეს სამეფოდ და კუალად ყვეს გამოძიება და დაამტკიცეს მეორედ კრებად ქალკიდონისა წინაშე მავრიკ მეფისა ერთობით ყოველთა და ალიარეს ორი ბუნება ქრისტესი ქეშმარიტი და დაწერეს ფიცი ერთობასა ზედა უკუც, და წარმოვიდეს, და ვითარ მოვიდეს სომხითს არა შეიწყნარა მათი მოსე კათალიკოზმან და სხუათა ეპისკოპოსთა, რომელნი იყუნეს სპარსთა კერძონი<sup>95)</sup>.

**გ** განიყო სომხითი და ამათ დაიდგინეს კათალიკოზად იოანე გოგვიტელი<sup>96)</sup>; და მიერითგან მრავლითა წინააღმდეგობითა ვიღოდეს კრებისათვს

<sup>94)</sup> „შორის მათსა“, უნდა ჰნიშნავდეს: შორის სპარსთა და ბერძენთა. მართლაც, მაერიკ-კეისარმა შემწეობა მისცა 590 წელს ხოსრო II-ს ვაპრემ-ჩუბინის (ქ.ცბის „ბარამ ჩუბინის“) წინააღმდეგ და მშვიდობა ჩამოვარდა ბერძენ-სპარსთ შორის“ (იხ. ქც. I, 164—5, Kiracos, p. 27, n. 2).

<sup>95)</sup> მთელი ეს მოთხოვბა სრულია ახალი და საყურადღებო ცნობაა, რომელიც უმეტესად აქეშმარიტებს ჰარება, რომ სომეხთა მსოფლიო ეკლესიიდამ განვრდომის მიზეზი იყო პოლიტიკური და არა სარწმუნოებრივი. ასოდიყი (გ. 333) მოვკითხობს, რომ ტიბერის-კეისრობაში (578—582 წ.) კოსტანტინეპოლიში მოხდა კრება მართლ-მადიდებელთა და სომეხთა, და სომებინი იძლიერენო. მაგრამ აქ აღწერილი ამბავი მოხდა 588 წელს (იხ. ქვემ).

<sup>96)</sup> ეს უნდა იყოს იგივე იოანე „გოგვიტელი“ (ე. ი. გოგვიტის კანტონიდამ; Cagvit Kirak., 27), რომელიც მოხსენებულია ზემო, შენიშ. № 91.

ქალკიდონისა და ორთა ბუნებათა ქრისტეს უფლისა ღუენისათა ათორ-  
მეტ წელ ვიდრე აღსრულებადმდე მავრიკი მეფისა<sup>97</sup>).

**ზა** პირველ მოხსენებულმან აბრაჟამ კათალიკოზმან<sup>98</sup>) ოდეს განასხნა  
არარატით მღდელნი იგი და იოანე კათოლიკე (კათოლიკე?) წმიდისა მამახესა-  
ლისი ბულკათ (sic) უკმიან წმიდა კათოლიკეს და მიტრს (sic), წმიდა როფესიმესა  
და უბაკნისა (sic) და ელივარდისა და არამონთა და გარნისისასა და ყოველ-  
თა მონასტერთად და ყოველთა არარატისათა მძლავრებით, რომელთამე შეჩერ-  
ნებად სკა წმიდა იგი კრებად (ქალკიდონისა)<sup>99</sup>).

**ზა** შემდგომად სამისა წლისა<sup>100</sup>) იქმნა პომი იგი ბასიანისა, რომელსა იძლინ-  
ეს იონნი სპარსთაგან და წარტყულნეს ქალაქი კორიჯი (კითრიჯი) აშტენი-  
სად<sup>101</sup>) და მეოთხესა წელსა<sup>102</sup>) კარნუ ქალაქი<sup>103</sup>) ფოკა ულუთოსა კეის-  
რისასა, რამეთუ დაკოცნა ძენი მავრიკ მეფისანი მახვლითა, ასპარეზსა განი-  
ჟვანნა.

ამას წელსა წარი]ტყულნა კარნუ ქალაქი აქმადისაგან<sup>104</sup>) და იოანე კა-  
თალიკოზი, რომელი იყო ნაწილსა ბერძენთასა; და ამასვე წელსა განასხნა მო-  
სე კათალიკოზმან<sup>105</sup>) მღდელნი თვისისა კელისაგან იოანეს კერძნი, და წარ-  
ვიდეს რომელნიმე იონთა თანა, რომელნიმე ტაოს, რომელნი (რ'ნი?) და მათ  
უწოდიან შულაკა<sup>106</sup>).

ვითარცა იხილა წმიდამან გრიგოლი ჩუტება იგი, ოდეს განეხუნეს კა-  
ნი და ნათელი გარდამოკდა მას ადგილსა<sup>107</sup>). და მერე წარკლეს რაოდენიმე  
უმნი, მოვიდა ჰერაკლე მეფე სომხითს და იხილა წუალება სომეხთად და

<sup>97)</sup> აქიდამ ცხადია, რომ ზემოხსენებული მეორე კოსტანტინოპოლის კრება ყოფილა 602—12=590 წელს.—<sup>98)</sup> იხ. ზემო შენიშ. № 44. აქ არსენი ახალს ცოდებს დასხემს; სა-  
მუხარიც დედანი აქ რამდენადმე დაზიანებულია.

<sup>99)</sup> აქ იგულისხმება 596 წლის კრება, რომელმაც სამუდამოდ განცყო ქართველ-სომხი-  
თის კეოსია, და თვით სასომხეთო ორნაწილად გაიყო: მონაფიზიტობა აღიარეს სპარსეთის  
ქვეშეგრძომათა, ხოლო მართლ-მადიდებლობა—ბერძნების ხელ-ქვეითთა. ასოლიკი ამბობს,  
(გ. 60) რომ იოანე კზად მავრიკ-კეისარმა დადგინაო. Ouchtanes, p. 303, n. 2; 350.

<sup>100)</sup> მავრიკის სიკვდილიდამ, ე. ი. 602+3=605 წელს.—<sup>101)</sup> ასოლიკი მოკლედ მო-  
იხსენივბს (გვ. 60): „Царь парсийский Хосровъ, послалъ [въ Армению] какого-то Ашо-  
та, который нанесъ поражение грекамъ, взялъ Кетритъ (арсебис: „კითრიჯი“),  
городъ въ Хаштенкѣ (арсебис: „აშტენისად“); равно какъ и городъ Еаринъ, и ка-  
таликоса Иоанна.:.. отвелъ въ плѣнъ“. ხოლო არსენი გვიჩვენდებს კარის (Каринъ=ეրზე-  
რუբ) აღებას 606 წელს; მაგრამ იოანეს დატყვევებას სწერს აქმადისგან და არა აშოტის მიერ.

<sup>102)</sup> ე. ი. 606 წ.—<sup>103)</sup> კარნუ—ქალაქი, ანუ კარი, ძველი თეოდოსიოპოლისი, ებ-  
ლინდელო ერზერუმი. ფოკა კეისარი ჰმართოდა 602—610 წ.—<sup>104)</sup> არ ვიცი, ვინ არის აქმა-  
დი.—იხ. Асогицъ, сгр. 83—4.—<sup>105)</sup> მოსე † 593 წ. (ბროსსეთი), ხოლო ამ დროს (606  
წელს) იჯდა აბრაამი და არა მოსე. იხ. ზემო შენიშ. № 45.

<sup>106)</sup> მოსეს (თუ აბრაამი?) აღბათ იმისგამო „განუსხამს“ (606 წ.) სამშობლოდამ ეს  
მართლ-მადიდებელნი სომეხნი, რომ მათ მონაფიზიტობა არ შეუწყნარებიათ.—<sup>107)</sup> აზრი აქ  
დამთავრებული არ არს.

ფრიად შესწუხნა წარწყმედისა შათისათვს უნებლებით მიქცევითა და ბრძანა კრებაჲ დიდი ყოფად ეპისკოპოსთა და მოძღვართა სომხითისათა და მიწერა წიგნი იეზრა კათალიკოზსა და აზნაურთა, რათა შემოკრბენ კარნუ ქალაქს და გამოიძიონ სარწმუნოება კრებისათვს ქალკიდონისა და ცნან ჭეშმარიტად ორი ბუნება ქრისტესი სომეხთა<sup>108)</sup>.

შა მოიწინეს ყოველი ერთობით ყოველნი (bis) წინაშე მეფისა და გამოიწულილეს მესამედ მრავლითა ძიებითა და დაამტკიცეს მართალი და დაემორჩილნეს სომეხნი ფიცით, კელით-წერილითა, რათა არარავის წინააღმდეგნ ცილობად მისთვს; და ვითარ უკუ-მოიცეს დვინს, მიიცეს მასვე ვნებასა წყმელულსა, რამეთუ მოძღვრებისა ადგილი მათი იგი იყო და თქვან მუნ შინა მართალი ყოველი კუალ-რუსნითი<sup>109)</sup>.

ხოლო იგივე მახრე გულმელი აღსძრვიდა ვიეთმე მონაზონთა მწვალებელთა და სტეფანეს ეპისკოპოსსა გარდამანისასა და მათუსალას ქერდულსა სივნიელსა და სხუა ვინ პოის მღუდელი, რომელნი არა დახდომილიყვნეს კრებასა მას, რათა არა ეზიარნენ ეზრა კათალიკოზისგან და რომელნი მისთანა შეერთებულ იყვნეს. შემდგომად დღეთა რაოდენთამე მოვიდეს სტეფანე ეპისკოპოსისა და მათუსალა იქა (იჯურთხა) სივნისა ეპისკოპოსად; დიდითა შეურაცხებითა აგინებდა სტეფანეს და ქერდულსა<sup>110)</sup> და იტყოდა: უმცირეს არს მიდრეკა ეზრაადსი ცთოშასა თქუმნსა, რამეთუ იგი ანუ შიშითა მეფეთათა, ანუ მეცნიერთა კაცთა მიახლებითა მიდრეკა სჯულისაგან, ხოლო თქუმნ ცუდად დებისა და სათნოებისათვს წარსწყმდით უკურნებელად.

და ვითარ ცნა ესე ეზრა, მოუწოდა მას ბერსა ბოროტსა და ჰრექუა წინაშე ყოველთა: გიკმე შენ სამგზის და მათუსალა სამგზის და სტეფანეს, ვითარმედ ქუმუნისა მოძღვარნი და მეცნიერნი თქუმნ ხართ, მოდით და სიტყუუა უგოთ მეფესა, და არა მოხვედით, და აწ ჩუმნსა გა[ნ]გებულსა წინააღმდეგები კადნიერად, ჩუმნ რომელი ჭეშმარიტად გამოვიდიეთ წიგნთა და მოძღუართაგან მართალი, შეეიწყნარეთ ორი ბუნება უფლისა ჩუმნისა იქსო ქრისტესი: სრული ღუთაებითა და სრული კაცებითა, ერთი გუამი და ერთი ხატი, განუყოფელი განგებულებითა და წიგნი წინდათა მამათა პირველნი, რომელნი აღმოვიყითხენით, ამას წამებდეს და ჩუმნ დავემორჩილენით ბრძანებათა მათთა და შევიწყნარეთ კეთილისა მიმართ (მრთ); და აწ არავე წარსრულ არს, საღუთონი წიგნი ჩუმნთანა არიან: მოვიხუნეთ და ჭეშმარიტი ვისწაოვოთ.

<sup>108)</sup> ეს კრება იყო 628 წელს Kiracos, p. 28; ԱՅՈՂԻՔ, стр. 61—2. հաջան ეზრა კათალიკოზად იჯდა 629—639 წლებში, ამის გამო ეს კრება უნდა ყოფილიყო 629—635 წ. როდესაც ირაკლი კրისარი სპარსეთით დაბრუნდა. ჩვენის ქრისტიკების ცნობებიც ამ ანგარიშს ამართლებს (იხ. ზემო, გვ. 65—7). ქვემო წერილში ეს კრება აღნიშულია 635 წ.

<sup>109)</sup> ԱՅՈՂԻՔ, стр. 61—2.—<sup>110)</sup> ე, ი. მათუსალას. „ქერდული“=გრამმატიკისი.—

და ვითარ დაუკშა პირი წამებითა წიგნთა მომოიბოყინა სიმყრალე, მსგავსი ბოროტისა და წვალებისა და პრქუა: ღონედ არა შევიწყნარო ეგე წერილი, რამეთუ ნისტორიანთა შექმატეს ეგე წმიდათა წიგნთათ; და აღიძრა წუალებად სიტყუათა მრავალთა, რომელ მოყუასთაცა მისთა ვერ შეარწყუნა და განისწავლნეს ურთიერთარს და მას უწოდდეს მათრევნელად თვისნი მოყუასნი სახელად სოფლისა თვისნა <sup>111)</sup>.

ხოლო იგი წარვიდა საბერძნეთს მისტე წინააღმდეგომისთვის და ისწავა მცირედ ენაა, რათმეცა მით მიზეზითა არწმუნა სომებთა უფროოსესრე და მოიქცეა სომხითსავე; უძრეს პირველისა წვალებდა; და უშეირდა უცკეცლად შემდგომად ეზრამასა დაცყრობად მისსა საყდარსა შეწევნითა დიდ-დიდთა კაცთათა და ნებითა მ[წვა]ლებელთათა <sup>112)</sup>; ქადებითა მათითა წინააღმდეგომობისათვის <sup>113)</sup> (წინააღმდეგ ძისათვეს) ქალკიდონისა კრებისა.

ხოლო შემდგომად ეზრასა დაიპყრა საყრარი ნერსე იშხნელმან <sup>114)</sup>, ღირსმან და მართლ-მორწმუნებან ნებითა ღუთისათა, და განიწირა სრულიად შე[რ]ისაგან ბერი იგი იოანე მზაკვარი და უფროოსად ამისთვის, რამეთუ ზიარებად ეხილვა ნერსე საბერძნეთს მეფისათანა კოსტანტინე მცირისა <sup>115)</sup> და არავე დასცხრა წინააღმდეგომად და სიტყუად ამას, ვითარმედ ეზრასცხრევე შესკუთა ნერსეცა შემდგომად ქალკიდონისა, რომლისათვესცა მოუწოდა ნერსე მას და წინაშე ეპისკოპოსთა და მოძღვართა მრავალთა და აზნაურთა მრავალთა და დიდი გამოძიებად ყვეს ცილობისა მისთვის და დაასაჯეს (sic) მათ ყოველთა განკდად მისი ქუცანით ვითარება მაცოტურისა და განაძო წმიდამან კათალიკოსმან ნერსე რისხით.

**მა თეოდორე რშტონთა (უნდა: „რეშტონთა“) ონ (უფალმან) <sup>116)</sup>. ერის-**

<sup>111)</sup> ეს ახალი ცნობებია, რომელსაც მოკლედ ამოწებს *Acotikъ*, გვ. 62.

<sup>112)</sup> აქ ხელ-ნაწერი მქრალია და გაურჩეველი. შეიძლება იყვნეს: „ნებითა მომლებელთა ქრთამთათა.—<sup>113)</sup> წინააღმდეგომისათვეს?—<sup>114)</sup> ასოლიკით ნერსე *Та и к е с и й*, ე. ი. ტაიგი (ტაოს?) დაბადებული: *Acotikъ*, გ. 62, 70; იგი იჯდა 639—661 წ. (*ibid.* გ. 70, შენიშ. № 50, Kiracos, p. 31, note 9. ნერსე რად უნდა იწოდებოდეს იშნელად, თუ სომხებსაც არ ჰქონდოდეთ იშხანში საკისკოპოსო? ასოლიკი სწერს ათის წელს კონბას ნერსესა (გ. 75).

<sup>115)</sup> კოსტანტინე ანუ ტიბერ-კეისარი 578—582;—კოსტანტინე III—641 წ. 12 მარტიდამ 23 იონისამდე (*Acotikъ*, გვ. 334); აქიდამ სჩანს, რომ ნერსეს კათალიკოზად დაჯდომა მომხდარა 641 წლის შემდევ და არა 639 წელს. და თუ იოანე მაიორგომელი საბერძნეთს ჰყოილა (როგორუც ზემო არსენი სწერს) 641 წლამდე; კოსტანტინევე ამის შეილი 641—668 წ. ასოლიკი სწერს, რომ დაინში შემოსულმა კოსტანტინე კეისარმა ბერძულად აწირებიან და ერთად ნერსე კათალიკოსთან ჭა ზარება მიიღოთ. აქიდამაც ნერსეს „მართლ-მორწმუნეობა“ ჰმართლდება.—ამავე კოსტანტინეს დროს დვინში მოხდა მეორე კრება, ექვსის წლის წინეთ თეოდორეს სიკედილისა, ე. ი. 644 წ. ამ კრების ოქმი იხ. ასოლიკი გვ. 63—70. იხ. Kiracos, p. 29, n. 2. იხ. გევანდъ, стр. 4—5; 127;—*Каганкатацацъ*, стр. 237—8.

<sup>116)</sup> თეოდორე (ანუ თეოდოროს) რეშტუნელი (Рештуни: *Acotikъ*, გ. 62, 70) ჰმართვიდა სომხითს 625—650 წ. *Acotikъ*, გვ. 62, 60, 70, 89). ემინს აზრით (*Acot-*

თავმან სომხითისამან, მელი სპილენძისა მკურვალი დასდევა ნიშნად შებლსა მისსა<sup>117)</sup> წვალებისათვს, ორთა თანა მონაზონთა მოყუასთა მისთა და წარვიდა ოტებული კავკასიისა მთასა და მუნით უკმოიქუა მსწრაფლ, რამეთუ არა შეწყნარეს იგი მთეულთა მათ კაცთა, რამეთუ იყვნეს იგი კერპთ მსახურ, და ჩარდამოვიდა კანბენჩანს და დაემკვდრა კევსა შინა მცირესა, რომელსა ჰრევიან კევი სომხითისა და მრავალნი დაიმოწაფნა არა თუ მას შინა ოდენ, არამედ ამიერ მტკურისა, არარატს, გარდამანს, ძორთორს (თორთორს?) და სომხითს და მრავალნი ქმნა მონაზონ უწესომთა მით მოძღვრებითა და აღივსო ქუცყანა წვალებისა ლუარძლითა<sup>118)</sup>.

**ზა** შემდგომად სიკუდილისა ნერსე კათალიკოსისა<sup>119)</sup> მოვიდა არარატს და მოწაფებულთა მათ მისთა თანა დღეთა ანას ტას კათალიკოზისადთა<sup>120)</sup>.

**ზა** შემდგომად ანასტასისა შემოკედა სომხითს მსგავსად მეციისა თვალსავე სოფელსა პირველსა ბიჯნის და მამრევანს სავსე მითვე წინააღმდეგობითა და მუნ მოკუდა დაძუბლებული ძალლი ბოროტთა დღეთა :რლგ: სა წლისა<sup>121)</sup>. წარმდები და განმწრნელი სომხითისა და მოწაფენი მისნი და დაბერებით ეამ ერთ მამრევანს, ელვარს და თეოდორე-წმიდას, და მერმე ისრაელი<sup>122)</sup> კათალიკოზისაგან და გრიგოლ ერისთვისა განისხნეს<sup>123)</sup> და განიძნივნეს ყოველსა სომხითისა აქა და იქი ქალაქთა და სოფელთა საკურად ყოველთა კაცთა ფიდრე დღეინდელად დღედ და მოაქამდე<sup>124)</sup>.

ГИКЕ, стр. 71, შენიშ. № 49: თეოდორე † 637 წელს, მაგრამ ეს აზრი ეწინააღმდევება საისტორიი წყაროებს და ამ არსენის წერილსაც, სადაც იგი მოხსენებულია ნერსეს კათალიკოზობაში; იგი პართვიდა ასოლიკით (გვ. 63—4) კოსტანტინე კეისრის დროს (641—668 წ.). ექვსის წლის წინეთ თეოდორეს სიკუდილისა (Acogikē, გვ. 70), ე. ი. 642 წ. იყო კრება დვინს (ibid. 63—70) კეისრის თან-დაწრებით. იხ. Kiracos, p. 29, n I; 32, n. 2,

<sup>117)</sup> ე. ი. შუბლებ ამოუწვეს სახე მელასი განურვებულ სპილენძით, რომელზედაც გამოანდაკებული იყო მელა. მელა სიმბოლოა მცბიერებისა, მატკურაბისა (Acogikē, 62).

<sup>118)</sup> ეს ძირდასი და ახალი ცნობებია.—<sup>119)</sup> ე. ი. 661 წ.—<sup>120)</sup> 661—667 წ. (Acogikē, გ. 71; Kiracos, p. 32, n. 3).—<sup>121)</sup> ე. ი. 133 წლისა. ითანე მაიერგომელი სხანს მოქმედ პირად კომიტოს კზის დროდამ, ე. ი. 616 წ. (Kiracos, p. 28, n. 6; იხ. შენ. № 46; Варданъ, стр. 62.—ჰერეთის გასომხება იხ. კაგანკავაცъ, стр. 337—52).

<sup>122)</sup> 667—673 წ. (Kiracos, p. 33, n. 4; ხოლო ასოლიკით (გვ. 71) 667—677 წ.

<sup>123)</sup> 659—669. ვარდანის თქმით ეს გრიგოლ მარხაპანი მოკვდა მე-7 წელს საკის კათალიკოსობისას, ე. ი. 682 წ. (Kiracos, n. 3), ხოლო ასოლიკით (გვ. 72)—681 წ.

<sup>124)</sup> აქ თავდება არსენის წერილი. მაგრამ შივ ტექსტში ჩართულია მოკლე განაჩენი მანასკერტის 726 წლის კრებისა, რომელმაც უწინდელი წეს-წყობილება უარპყო „კითარუა ძველი ცომი“ (Acogikē, 74; Варданъ, გვ. 86—88 და შენიშ. ემინისა № № 217 და 334) და შემოიღო ახალი დოღმატური და ლვთის-მსახურებითი წესები, რომელნეკ სამუდამიდ დარჩა სომხითში. შემდეგმა ისტორიამ ამათ სხვა ახალი ცვლილებანი შემატა და უმე-